## შავი მელა

საქათმეში შეეჩვია
თურმე ერთი შავი მელა,
დედლები და ყვინჩილები
ჩუმად ზიდა ნელა-ნელა.
არც ვარიებს იწუნებდა,
ცროღა იყო თუ ყელჭრელა,
გამხდარი და ჩამწყერული
ერთი იყო მისთვის ყველა.
ვერ შეუტყვეს ვერაფერი,
საქმე ისე გააძნელა,
მაშინ გადგა მელა განზე,
როცა ტყავი გაისქელა.
ყველა იმას იძახოდა:
"დამღუპველი არის ძერას
შინაურმაც, გარეულმაც
მართლა აკი დაიჯერა!
ძერას თოფი დაუმზადეს,
კუცკუჭებდა ცრუპენტელა:
"ვისა ჰკლავენ სულელები,
განა ისე ძალზე ბნელა?!ა
ულვაშები ჩაიკვნიტა
და ცბიერად ჩაახველა...
ძერა მოკლეს უბედური,
დაუსჯელი დარჩა მელა...

1910 წ.